საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

08/07/2025

MES 7 25 0000912670

გადაწყვეტილება

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ეკოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ემუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-8 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „სრულად ან/და მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27^5-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. „აკრედიტაციის დებულების“ 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან” და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან ან „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

1.5. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-7^1 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 17 თებერვლის №161747 ბრძანების საფუძველზე (ცვლილება - №188283, 21/02/2025) განხორციელდა დაწესებულების "ეკოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება.

2.2 საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.3 სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება, კერძოდ:

აკრედიტაციის საბჭომ შეცვალა რეკომენდაცია 2.2 კომპონენტში და ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: „რეკომენდებულია დაწესებულებამ გადახედოს პრაქტიკის კომპონენტის სილაბუსებს და ხელახლა განსაზღვროს წინაპირობები. რეკომენდებულია, საველე პრაქტიკის კურსი განხორციელდეს მე-6 და მე-8 სემესტრებში.“ აღნიშნულმა არ გამოიწვია მე-2 სტანდარტის ცვლილება.

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ემუ ხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ "ეკოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით 2032 წლის 24 ივნისამდე.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა“ეკოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2025 წლის 08 ივლისის სხდომის №851523 ოქმის № 05 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
4. დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია დაწესებულებამ თვითშეფასების ანგარიშში მკაფიოდ წარმოაჩინოს, საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა დაწესებულების მისიასთან, მიზნებთან და სტრატეგიულ გეგმებთან.
- რეკომენდებულია დაწესებულებამ განახორციელოს შრომის ბაზრის მოთხოვნების, ტენდენციების და საჭიროებების ანალიზი, რომ უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა კურსდამთავრებულებისთვის არსებულ და სამომავლო დასაქმების შესაძლებლობებთან.
- რეკომენდებულია ინტერნაციონალიზაციისა და კვლევითი გარემოს განვითარების მიმართულებით მუშაობა, რაც გააუმჯობესებს პროგრამის შინაარსის საერთო ხარისხს და შესაბამისობას.
- რეკომენდებულია დაზუსტდეს, თუ როგორ შესრულდება კურსებით გათვალისწინებული წინაპირობები, რადგან თავად კურსები და სილაბუსით გათვალისწინებული მათი წინაპირობები იკითხება ერთსა და იმავე სემესტრში.
- რეკომენდებულია კურსის სილაბუსებში უნარების განვითარებასთან დაკავშირებული სწავლის შედეგების ფორმულირების კორექტირება, რომ უკეთ იყოს ასახული სასურველი კომპეტენციები
- რეკომენდებულია განახლდეს რამდენიმე კურსის შინაარსი, ლიტერატურასთან ერთად, რომ გათვალისწინებული იყოს უახლესი კვლევის შედეგები და დარგში არსებული მიღწევები.
- რეკომენდებულია დაწესებულებამ გადახედოს პრაქტიკის კომპონენტის სილაბუსებს და ხელახლა განსაზღვროს წინაპირობები. რეკომენდებულია, საველე პრაქტიკის კურსი განხორციელდეს მე-6 და მე-8 სემესტრებში.
- რეკომენდებულია გაიზარდოს სტუდენტების ჩართულობის და მოტივაციის დონე სამეცნიერო და კვლევით პროექტებში მონაწილეობის მისაღებად.
- რეკომენდებულია პრაქტიკის ობიექტებთან და დამსაქმებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში/მემორანდუმებში გათვალისწინებული იყოს სტუდენტების რაოდენობა. რეკომენდებულია, გადაიხედოს ვადაგასული მემორანდუმები.
- რეკომენდებულია სასწავლო გეგმაში და საველე პრაქტიკის სილაბუსებში განისაზღვროს საათობრივი განაწილება (2.7; 2.12). არსებობს ბუნდოვანება და შეუსაბამობა საკლასო მუშაობის და საველე პირობებში პრაქტიკულ მუშაობას შორის.
- რეკომენდებულია პროგრამის შედეგების მისაღწევად სტუდენტებმა წარადგინონ საბაკალავრო ნაშრომი ან პროექტი.
- რეკომენდირებულია სწავლებისა და სწავლის მეთოდები უკეთ იყოს მორგებული სტუდენტების მრავალფეროვან საჭიროებებზე და არ იქნას გამოყენებული ერთგვაროვანი მიდგომა.
- რეკომენდებულია "ეკოლოგიის" საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისთვის შეიქმნას სხვადასხვა საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობები.
- რეკომენდებულია აკადემიური პერსონალის სასწავლო დატვირთვა ისე დაიგეგმოს რომ მათ ჰქონდეთ საკმარისი დრო კვლევით საქმიანობაში ეფექტურად ჩასართავად.
- რეკომენდებულია აკადემიურმა პერსონალმა გააძლიეროს ძალისხმევა კვლევის განვითარების მიმართულებით და პრიორიტეტი მიანიჭოს კვლევის ხარისხს და არა რაოდენობას.
- რეკომენდებულია დაწესებულებამ აქტიურად მოახდინოს ახალგაზრდა აკადემიური პერსონალის დასაქმება ინოვაციებისა და გრძელვადიანი განვითარების ხელშესაწყობად.
- რეკომენდირებულია დაწესებულებამ გააცნობიეროს, რომ ინგლისური ენის არასაკმარისი ცოდნა კვლავ მნიშვნელოვანი გამოწვევაა და მთავარ ბარიერად რჩება როგორც მაღალი კვლევითი მიღწევების, ასევე ინტერნაციონალიზაციის მხრივ. ამ საკითხის მოგვარება პერსონალის განვითარების სტრატეგიებში პრიორიტეტული უნდა იყოს.

- რეკომენდირებულია დაწესებულებამ ხელახლა განსაზღვროს კვლევის სტრატეგია და თანდათანობით უფრო ინტენსიური გახადოს კვლევითი ჩართულობის ხელშეწყობა. ეს უნდა გულისხმობდეს რაოდენობრივი შეფასებიდან თვისებრივზე გადასვლას, რაც უზრუნველყოფს მნიშვნელოვანი სამეცნიერო მიღწევების პრიორიტეტულობას. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ტრანსფორმაცია ერთ დღეში ვერ მოხდება, ეტაპობრივი მიდგომა დროთა განმავლობაში ხელს შეუწყობს უფრო ძლიერი კვლევითი გარემოს შექმნას.
- რეკომენდებულია ლაბორატორიული ინფრასტრუქტურის გაფართოება და განახლება უახლესი აღჭურვილობითა და მეთოდოლოგიებით, რაც გადამწყვეტი მნიშვნელობის იქნება უახლესი კვლევების ხელშეწყობისა და სტუდენტებისთვის თანამედროვე ეკოლოგიური ტექნიკის პრაქტიკული გამოცდილების მიღებისთვის.
- რეკომენდირებულია ბიუჯეტის განაწილების სტრატეგიების ხელახლა შეფასება, რათა უზრუნველყოფილი იყოს კვლევითი საქმიანობის წახალისება და ადეკვატური მხარდაჭერა.

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2025 წლის 24 ივნისიდან.
6. საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვროს ერთი წელი - 2026 წლის 24 ივნისი.
7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24[1]მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) კანონმდებლობის შესაბამისად დაწესებულებისთვის გაცნობის დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
თავმჯდომარე
დურული ციური

ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა